ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7216105

ნომერი: AR11056707

თარიღი : 10.09.2024

გაცემის თარიღი : 13.09.2024

გაცნობის თარიღი : 14.09.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა, N 145გ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კობა ჯანიკაშვილი პ/ნ 01026006350
- ცაგარელის 45

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 9 სექტემბრის №7204757 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 10 სექტემებრს №AR11056707 განცხადებით მომართა კობა ჯანიკაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2024 წლის 9

სექტემბრის №7204757 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 9 სექტემბრის №7204757 ბრძანებით, ქ. თბილისში, აკაკი ბელიაშვილის №145გ-ში მდებარე №01.13.02.003.429 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ოფისის მშენებლობის მიზნით, დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2024 წლის 9 სექტემბრის №7204757 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, „მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობები და მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრის“ ველში უკანა ეზოსა და მაქსიმალურად დასაშვები სიმაღლის გრაფები არასწორად არის ჩამოყალიბებული. ამასთან, ბრძანებაზე თანადართულ დანართში არასწორად არის დაფიქსირებული პირობითი აღნიშვნები და შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომების გასწორებას.
სამსახურმა, დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ 2024 წლის 31 ივლისის №AR11050610 განცხადებით მოთხოვნილ იქნა, ოფისის მშენებლობის მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება. სამსახურმა იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე, დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა და დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. თუმცა, ბრძანებაში „მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობები და მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრის“ ველში უკანა ეზოსა და მაქსიმალურად დასაშვები სიმაღლის გრაფები არასწორად ჩამოყალიბდა, ამასთან საპროექტო მიწის ნაკვეთისთვის მომზადებულ დანართზე არასწორად დაფიქსირდა პირობითი აღნიშვნები.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 9 სექტემბრის №7204757 ბრძანებაში და „მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობები და მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრის“ ველში უკანა ეზოსა და მაქსიმალურად დასაშვები სიმაღლის გრაფები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
”

- უკანა ეზო: დანართის შესაბამისად;

- მაქსიმალურად დასაშვები სიმაღლე: საზოგადოებრივი საზღვრიდან, ხოლო ჩიხურ ნაწილში სამეზობლო მიჯნებიდან.“.

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 9 სექტემბრის №7204757 ბრძანებაზე თანდართული დანართი ჩანაცვლდეს წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული გასწორებული დანართით.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 9 სექტემბრის №7204757 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.